საქართველოს მთავრობის განკარგულება

№226 2018 წლის 30 იანვარი ქ. თბილისი

2018 წელს ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის უწყვეტობის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობის აუცილებლობიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე:

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე ან/და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2018 წლის 1 აპრილისა, შემსყიდველ ორგანიზაციებს დაერთოთ ნება, ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2337 განკარგულებით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2017-2018 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000034) პირობების შესაბამისად,

ამავე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლებისაგან (შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“).

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება დაეკისროს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2337 განკარგულებით შექმნილ სატენდერო კომისიას, ამავე განკარგულებით დამტკიცებული საქმიანობის წესის შესაბამისად.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**